ოქმი:ო05. 3726208001
თარიღი:27/07/2026

ოქმი N 12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2026 წელი, 27 ივლისი

ქ.ოზურგეთი

12:00 – 12:30-საათი

თავმჯდომარეობდა: გოჩა მდინარაძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ.ხომერიკი, ლ. კილაძე, გ. კილაძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ნადირაშვილი, ლ. მესხი, ი. დობორჯგინიძე, ქ. კვაჭანტირაძე, მ. ცქვიტინიძე, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ გ. მდინარაძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი"-თ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გოჩა მდინარაძე

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

2. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის №2260 განკარგულების საფუძველზე გაფორმებული უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე"- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გოჩა მდინარაძე

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გ. მდინარაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილებების პროექტი აკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტისათვის წაყენებულ კანონმდებლობის მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით. დადგენილების პროექტი კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გ. მდინარაძემ კომისიის წევრებს მოკლედ ესაუბრა დღის წესრიგის მეორე საკითხზე, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტისათვის წაყენებულ კანონმდებლობის მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით. განკარგულების პროექტი კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტების საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტები წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გოჩა მდინარაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი